საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1350

13/09/2021

ქ. თბილისი

„შპს „ეკო ენერგიას“ რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების აღდგენის (გადამამუშავებელი) საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 12 ივნისის №2-523 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 25 აგვისტოს სამინისტროს მომართა შპს „ეკო ენერგიას“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

2017 წელს სამინისტროს მიერ შპს „ეკო ენერგიას“ რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების აღდგენის (გადამამუშავებელი) საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №37 (20.06.2017) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2019 წლის 12 ივნისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-523 ბრძანება „შპს „ეკო ენერგიას“ რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების აღდგენის (გადამამუშავებელი) საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ეკო ენერგიას“ განცხადების, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ეკო ენერგიას“ რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების აღდგენის (გადამამუშავებელი) საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 12 ივნისის №2-523 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ეკო ენერგიას“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ეკო ენერგიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი